საქართ. მუშარცხენა სოც.-ფედერალისტთა ნაწყვეტიდულით პარტია

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

კვირა, ივნისის 25-ს 1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა


დღეს

აკაკი ფაღავას ხელმძღვანელობით არსებული

დრამატიული სტუდიის

ლატარიის დღეა

ვისაც გიყვართ ქართული თეატრი და გწადიანთ მისი განახლება და წარმატება ხელი შეუწყვეთ ლატარიის ბილეთების შეძენით ერთად-ერთ სასცენო ხელოვნების სკოლას: ზემორე ხსენებულ დრამატიულ სტუდიას.

ვისაც გინდათ

მილიონების მოგება

შეიძინეთ აგრეთვე ჩვენი ლატარიის ბილეთი

თითო ბილეთი ღირს 10.000 მანეთი,

მოიგებთ

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთი | 25,000,000 მ. | 3—თითო | 5,000,000 მ. |
| 2—თითო | 10,000,000 „ | 15—თითო | 1,000,000 „ |

გათამაშება ლატარიისა მოხდება ამ წლის 1-ელ ოქტომბერს რუსთაველის თეატრში (ტფილისში) საგანგებო კომისიის მიერ ქართველ ხელოვანთა მთავ. კომ. თავმჯდ. კ. მაყაშვილის თავმჯდომარეობით. პასუხისმგებელი გამგე ლატარიისა—სტუდიის ხელმძღ. აკ. ფაღავა.

დიდი მომგებიანი ლატარია

საქართველოს დამშეულთა სასარგებლოთ

სცადეთ თქვენი ბედი, დაეხმარეთ დამშეულ ძმებს.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი აწყობს დიდ მომგებიან ლატარიას, წესები ლატარიისა და ბილეთების შეძენის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

ქალაქ ტფილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ სახლის მესაკუთრეთა

რეგისტრაცია გაგრძელებულია

ა. წ. 15 ივლისამდე სხვა და სხვა მიზეზების გამო.

3—2 საადგილ-მამულო განყოფილება

ტფილისის პირველ აღმასრულებელ კომიტეტის

უკანასკნელი სხდომა

დანიშნულია ორშაბათს ივნისის 26-ს საღამოს სრულ 5 საათზე.

ყველა წევრის დასწრება სავალდებულოა.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობის და მის პერსპექტივების შესახებ.
2. მოხსენება ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის ტეხნიკურ საშუალებათა სპეციფიკაციის შესახებ.

მდივანი მესხი.


## კაპიტალის იანიჩარები

ბევრი რამ საგულისხმიერო ამბები მოხდა ამ მოკლე ხნის განმავლობაში. მსოფლიოს, განსაკუთრებით—ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი ფაქტთა თაიგული აიკონა, აიკინძა. ბევრი საიდუმლო რამეები გამომჟღავნდა, ჟურნალისტთათვის მრავალი მოულოდნელი მოვლინებული გამოაშკარავდა. ევროპის კაპიტალისტების კონგრესმა გენუაში ახალი ხაზები ასახა და ახალი ამოცანები დასახა პოლიტიკურ მიმდინარეობათა აზროვნებაში. ყოველი ჯგუფი, პარტია თუ სახელმწიფო ღირებულებათა ხელახალი გადაფასების აუცილებლობის წინაშე წარსდგა. მშრომელთა კლასის მტრები უკვე ახდიდნენ საკუთარ მოქმედებათა, წინდაწინ განსაზღვრულ გეგმების და ურიადაგო ჰიპოთეზების რევიზიას. მათთვის აშკარა შეიქმნა ახალი გზების გამონახვა, ბრძოლის ახალი მეთოდის ძიება.

ჩვენთვის ყოველთვის ცხადი იყო სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა ანტანტის ბურჟუაზიულ სახელმწიფოების, კიდევ უცხადესი—ასეთ მდგომარეობის ახლობელი რეზულტატები. გენუას კონფერენცია საკმაო ილუსტრაციაა ჩვენ მიერ აღებული გეზის მიზანშეწონილების სავსებით გამართლების, რას ვამბობდით ჩვენ?—იმას, რომ ანტანტა დაძაბულა, დალპა, მის სახელმწიფოებს შორის დარღვეულია ლოიალი განწყობილება, კაპიტალიზმი ევროპიულმა ომმა ჩააყენა საბედისწერო ქუჩაბანდში და სხვა და სხვა. გენუას კონფერენციის შემდეგ ყოველივე ეს ნათელი შეიქმნა ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისათვის..

არ გამართლდა მენშევიზმის არც ერთი აზრი, არც ერთი პოლიტიკური პროგნოზი. მენშევიზმი ორ დებულებას აყენებდა: რუსეთი გაკოტრებულია, ანტანტა—გამდიდრებული. საბჭოთა ხელისუფლება ვერ გამოასწორებს რუსეთის ცხოვრებას. რუსეთი დაინგრევა ეკონომიურად, მოისპობა პოლიტიკურად. რუსეთში სოციალისტური რევოლუცია, მით უმეტესად, სოციალისტური რევოლუციის მეთაურობის როლში ჟღურღუტური, უკაპიტალიზმო, [illegible] რუსეთის გამოყვანა არის აშკარა პროვოკაცია, გამასხარავება სოციალიზმის იდეების. სულ სხვაგვარ გარემოებასა და მდგომარეობაშია ევროპა და ევროპის დემოკრატია. იგი ძლიერია პოლიტიკურად, უძლიერესი—ეკონომიურად. აქედან ლოღიკურად გამომდინარეობდა მენშევიზმის მიერ რუსეთის რევოლუციის ორიენტაციის უარყოფა და ერთა ლიგაში შესვლა, ინგლისის ორიენტაციის ძიება.

ევროპის ცხოვრებაში მომხდარ ფაქტებმა და საბჭოთა რუსეთის თანამედროვე მდგომარეობამ სავსებით დაამტკიცა მენშევიზმის პოლიტიკური სიმცდარე. მენშევიკური თვალსაზრისი არ გამართლდა არც რუსეთის და ანტანტის შეფასებაში. პოლიტიკური მიმართულების ამაზე უდიდესი გაკოტრება ძლიერ იშვიათად ახსოვს აზროვნების ისტორიას.

საბჭოთა რუსეთის ეკონომიური და საერთაშორისო მდგომარეობა მტკიცე საფუძვლებზე ყალიბდება. ეკონომიურად რუსეთი ადგას აღორძინების გზას: ვითარდება მრეწველობა, საკუთარ ფეხზე სდგება ქვეყნის ხასიათი მეურნეობა. სიმშილობა შენელდა, კარგ მოსავლის გარანტია უკვე ხელთ არის. ამაში ევის შეტანა მეტად ძნელი საქმეა. უფლებრივად რუსეთის მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება. ჰააგა ქმნის ამას აუცილებელ პირობებს, თუ არა იგი სხვა ქალაქებში მაინც გადაწყდება რევოლუციონურ რუსეთის de iure აღიარება. რუსეთი ძლიერია პოლიტიკურად, ძლიერდება ეკონომიურად და ეს გაძლიერების პროცესი თანდათან ვითარდება, იზრდება, მატულობს. გერმანიის რუსეთისაკენ გადმოხრა დიდი მიმღებაა საბჭოთა ფედერაციისათვის. დღეს თუ არა ხვალ ინგლისიც გაყვება გერმანიის მაგალითს, დიდი ბრიტანეთიც მოჰხრის თავს რევოლუციონურ რუსეთის წინაშე. არის ამის ნიშნები, არსებული ფაქტები იძლევა ამაზე ფიქრის უფლებას.

ანტანტა?! დიახ, ძველი ანტანტა, მთლიანი, ძლიერი ანტანტა არ არის არსებითად. მისი ძალების დაშლა მოხდა ფაქტიურად, მისი შემადგენელ ნაწილების დაგუბებულ ინტერესთა წინააღმდეგობამ იპოვა გამოსასვლელი გზა ამიერიდან ინგლისის მთავარ პოლიტიკურ ფოკუსში. გენუაში მოხდა კაპიტალისტურ ბურჟუაზიის ინტერესთა დაპირისპირება, თვალსაზრისთა შეჯახება. ფაქტიურად დაუძლურებული ანტანტა გაიპო ორ ნაწილად, ორ კოალიციათ ინგლისის მეთაურობით ერთის მხრით და საფრანგეთის—მეორე მხრით. ეს რეალი ფაქტია, შიშველი სინამდვილე. ყველასათვის ცხადია, ხელშესახები. პარიზის „თავისუფალი საქართველოც“ კი გაუწითლებლად აცხადებს: „ძველი ანტანტა დაირღვა ფაქტიურად ორს მის მთავარ მონაწილეთ—ინგლისსა და საფრანგეთს შორის.“ უდიდესი და უდრმესი ინტერესთა წინააღმდეგობა აღმოჩნდა სწორედ იმ საკითხში, რომლის გადაჭრას შეეძლო ევროპისათვის რამდენიმე მყუდრო ცხოვრების მოტანა. ესაა საკითხი რუსეთის და ახლო აღმოსავლეთის“ („თავ. საქ.“ № 22). არ გამოსწორებულა, პირიქით უფრო გაუარესდა ანტანტის ცხოვრების ეკონომიური პირობები. ომმა დაარღვია კაპიტალიზმის ნორმალი განვითარების საფუძვლები. კრიზისი, უმუშევრობა, ვალები—აი რა აწუხებს, არ აძლევს მოსვენებას ანტანტას სახელმწიფოებს. გენუას კონფერენციის მიზანი და დანიშნულება იყო სწორედ დაცემულ, დაუძლურებულ ევროპის მასშტაბში მაინც მშვიდობის დამყარება და ეკონომიურ-პოლიტიკურ წონასწორობის შექმნა. საფიქრებელი იყო, რომ გენუა ამას მიაღწევდა განსაზღვრულ ხნით მაინც „დამარცხებულ“ რუსეთ-გერმანიის კონფერენციაზე მოწვევით. მაგრამ გენუამ არსებითად არაფერი მოუტანა დაქანცულ ევროპას, ვერ შესძლო შეურიგებელთა შერიგება. გენუაში არ გადაჭრილა საბოლოოდ არც ერთი პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის საკითხი. უფრო მეტი: გენუას კონფერენციის იდეა საბედისწერო შეიქმნა კაპიტალისტურ მსოფლიოსათვის: ეკონომიურად გაპარტახებული ანტანტის პოლიტიკურად დაშლას საქმე დაჩქარება მიეცა. ეს კიდევ საბოლოოდ ამტკიცებს ჩვენს მოსაზრებას: ბურჟუაზიული სამყარო განწირულია მოსასპობად, მის გადარჩენაზე ფიქრი დონკიხოტური ოცნებაა, მოკლებული ყოველგვარ შესაძლებლობას.

ასეთია სქემატიურად თანამედროვე საერთო მდგომარეობა. გენუას მიზანმიუღწევლობა ფარდას ხდის იმ აშკარა სამკვდრო-სასიცოცხლო განწყობილებას, რომელიც სუფევს ორს რევოლუციონერსა და რეაქციონურ ბანაკთა შორის. კონსერვატიული ბურჟუაზია საფრანგეთის მეთაურობით ილესავს კბილებს და მლერის ბრძოლას ახალ ჰანგებზე. ბურჟუაზია სასტიკად დამარცხდა რევოლუციონურ რუსეთთან დიპლომატიურს ბრძოლაში. ვერც დაქირავებულ „გენერლების—დენიკინ-ვრანგელ-კოლჩაკების საშუალებით მოახდინა ევროპას ბურჟუაზიამ სასიცოცხლო ინტერესების რეალიზაცია, სინამდვილეში გადაქცევა. მას მხოლოდ ერთი გზა დარჩენია—გზა უშუალოდ, პირდაპირ შებრძოლებისა. ბურჟუაზიის გონებრივი აპარატი ამ ნიადაგზე მუშაობს. ახალი გამოგონებანი საომარ იარაღების საქმეში, სამხედრო ტეხნიკის სამაგალითო გაუმჯობესება, რომლისათვის მილიონებს ხარჯავს საფრანგეთის (თუ გინდ სხვების) ბურჟუაზიული მთავრობა, ამზადებს ახალი, უფრო საშინელი ომის შესაძლებლობას. კაპიტალისტური მსოფლიო ეძებს ღონეებს ბრძოლის, სისხლის ღვრის სურვილით. ომის სუნი ტრიალებს ატმოსფეროში. ცხადია, თანამედროვე პირობებში, არსებულს მდგომარეობაში ბურჟუაზიული ბანაკი ვერ შესძლებს ომის წარმოებას. ბურჟუაზია მხოლოდ ემზადება გადამწყვეტ ომისათვის.

სად არიან მენშევიკები, მათი ამყოლ-ავან-ჩავანნი, ბურჟუაზიული რანგის „სოციალისტები“ კრიტიკულ მომენტში?! საერთაშორისო მენშევიზმი ან უნდა მოისპობს სავსებით, გაიხრწნას იდეურად, გაკოტრდეს პოლიტიკურად, ანდა თავისი ენერგია დაუპირდაპიროს ბურჟუაზიის სულისკვეთებას და ამათ მოჰყვეს რევოლუციონურ ბლოკში. სხვა გზა არ არის და არც იარსებებს მისთვის. მაგრამ საკითხი ასე მდგარა მენშევიზმის ცნობიერებაში?—ცხადია, არა.

იგი მიემართება ისევ ძველი გზით და მოქმედობს ძველი საშუალებებით. რუსეთ-ანტანტის ბრძოლაში მენშევიზმი ბურჟუაზიის მხარეზე არის, რადგან ბურჟუაზიის საქმეს აკეთებს იმით, რომ ეწევა საზიზღარ აგიტაციას მუშების მასებში საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ. საბჭოთა რუსეთის დამხობა—აი მენშევიკების იდეალი, ნატვრა-სურვილის აღსრულების მთელი რაობა. ისტორიულად, გაბატონებულ კლასს არ ყოლია ისეთი მოსყიდული ხალხი დაჩაგრულთა წინააღმდეგ, როგორც თანამედროვე ბურჟუაზიულ ევროპის მენშევიზმის და მენშევიკური ბლოკის მოციქულები, საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ მებრძოლნი. ძირითადი გარდატეხა მოხდა საერთაშორისო კონიუნქტურაში, საერთაშორისო პოლიტიკაში საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ, მაგრამ რევოლუციის და სოციალიზმის დეზერტირები, ანტანტის კაპიტალის იანიჩარები მაინც არ იტვხენ იხეიბარს და პარიზის ცირკებში აწყობენ დემაგოგიურ სეანსებს კაპიტალის ტეხის ყურადღების და სიმპატიის დასამსახურებლად. მენშევიზმის პავლე მოციქულები გარედ, შავს ზონას იქით, ეწევიან რევოლუციის საწინააღმდეგო აგიტაციას, ხოლო შინ, საბჭოთა რესპუბლიკებში, ხელს უშლიან აღმშენებლობითი მუშაობაში.

დრო არის გამოფხიზლების, მოვლენათა საღი თვალსაზრისით შეფასების—ერთი სიტყვით—მთელი მსოფლმხედველობის კარდინალი რევიზიის. პარტიული კაპიტალის გაძლიერების დრო წავიდა სამუდამოდ. ეს უნდა შეიგნონ ჩვენმა მენშევიკ-ემიგრანტებმა. ეს უნდა იწამონ სოც.-დემოკრატიამ და მისმა მოკავშირეებმა. ეს იხსნის მათ ისტორიის სამარცხვინო ბოძისაგან. ჰორიკანობის, ფარისევლობის და დემაგოგიურ პროვოკაციულ უნარის იმპროვიზაციას ყოველთვის არ ექნება გასავალი, პატივი და დიდება.

უკეთესი პარიზიდან წითელ ტფილისისაკენ! აი მშრომელთა კლასის დეზერტირების მორიგი გზა.

გ. მუშიშვილი.

## პრესა

„ტრიბუნა“-ს 227 №-ში ჩვ ნ აღვნიშნეთ ახალი რუსული ორგანოს „ზარია ვოსტოკა“-ს გამოსვლა, რომელიც გამოცხადებულია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს ორგანოთ და ამავე დროს ორგანოდ რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა. ჩვენ აღვნიშნეთ ეს ანომალია და შევეკითხეთ პატივცემულ ორგანოს განმარტებისათვის: როგორ ეგუება ჩვენ დამოუკიდებლობას, რომ რუსეთის მმართველი პარტია ხელმძღვანელობს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ ფედერატიულ რესპუბლიკას ქ?

უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებული გაზეთი „ვონების დამბნელებელი მეყვითხვეთ“ გაზეთი მეტად დამახასიათებელ ცილითი შემდეგს გვიპასუხებს:

„მემარცხ. ფედერალისტებს შეეძლოთ დამშვიდებით მ კვდნენ, ვინაიდან ამაზე „აქვეიანურს“ ვედარაფერს იჭყვიან თავიანთ დანარჩენ სოციალისტურ სიცოცხლეში. მაგრამ არ გვინდა რა თქვენი სიკვდილი, ჩვენ—და ჩვენთან ერთად მთელი რევოლუციური მუშები და გლეხები ამიერ-კავკასიისა—მოგვიდებით სიცილით თქვენი ტრაგიული კითხვის გამო. სიკვდილის წინ მოგაგონებთ მხოლოდ, რომ ჩვენ კომუნისტები ვართ და მასასადამე ჩვენივე სურვილით ვიმყოფებით კომინტერნის განმ დამოკიდებულებაში, რომლის ორგანიზაციაში ჩვენ ვდებულობდით და ვდებულობთ მონაწილეობას თანახმად ყველა დანარჩენ ქვეყნებისა. ჩვენ, ამიერ-კავკასიის კომუნისტებმა, სამივე რესპუბლიკის კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობაზე ავირჩიეთ ამიერ-კავკასიის უმაღლესი პარტიული ორგანო, რომელიც შედგება ადგილობრივ მომუშავე პირთაგან და რომელიც მუშაობს მჭიდრო კონტაქტში კომინტერნის საკავშირო სექციასთან—რუსეთის კომ. პარტიასთან. ამაში დამოუკიდებლობის მოსპობის დანახვა შეუძლია მხოლოდ ორივე თვალებით ბრმებს“ (ხაზი ჩვენია) (Заря Вост. № 5)

ჯერ ერთი, რომ ორივე თვალებით ბრმას არაფრის დანახვა არ შეუძლია, მაშასადამე არც დამოუკიდებლობის მოსპობის და ბევრს სწორედ ასე ემართება. ასე რომ ხაზგასმულ ფრაზას რომ სწორი და ლოღიკური აზრი დაუბრუნდეს, მას უნდა მიემატოს ის, რაც ასე თვალსაჩინოდ აკლია: „ამაში დამოუკიდებლობის მოსპობის არ დანახვა შეუძლია მხოლოდ ორივე თვალებით ბრმებს“.

ჩვენ კომუნისტები ვართ და ამიტომ ჩვენი ნებით დამოკიდებული კომუნისტებისაგან. მაგრამ კომუნისტებისათვისაც, ვფიქრობთ, გასაგები უნდა იყოს, რომ დამოკიდებულება ნებაყოფლობითაც რომ იყოს, მაინც არ არის დამოუკიდებლობა. მაგრამ კომინტერნი აქ არაფერ შუაშია. ჩვენ ვკითხულობთ: ამიერ კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკის მთავრობას რატომ ხელმძღვანელობს რუსეთის მმართველი პარტია. ჩვენ არ გვიფიქრია კომინტერნისაგან დამოუკიდებლობაზედ. მაგრამ უკვეველად დამოუკიდებლობის შებღალვაა, როცა ერთი ქვეყანას განაგებს მეორე ქვეყნის მმართველი პარტია. რუსეთის კომპარტიასთან მჭიდრო კონტაქტი სულაც არ მოითხოვს, რომ დამოუკიდებელი ამიერ კავკასიის უმაღლესი პარტიული ორგანო შედიოდეს რუსეთის კომპარტიაში და მისგან ღებულობდეს დირექტივებს. მაგრამ ის უშუალოდ უნდა შედიოდეს კომინტერნში, როგორც მისი ერთი სექცია, და კომინტერნიდან ღებულობდეს საჭირო დირექტივებს. ასეა ეს სხვა დამოუკიდებელ ქვეყნებში და ასე უნდა იყოს ჩვენშიაც. და ვინც ამაში ჩვენს ნაციონალისტობას ხედავს, ის თავის თვალში დვირეს ვერ ამჩნევს.

## ნარკვევი

### პოლიტიკური მიმდინარეობანი თანამედროვე საფრანგეთში.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის წევრთან, ფროსართან საუბრიდან, რომელიც მოყვანილია მოსკოველ „Правда“-ში (№ 131) შემდეგს ვებულობთ ამ ჟამად საფრანგეთში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე.

პოლიტიკურ ძალთა განწყობილების დასახასიათებლად საფრანგეთში საყურადღებოა ახლახან დამთავრებული არჩევნები ადგილობრივ თვითმართველობათა. ამ არჩევნებმა ცხად ჰყო მარცხნით გადახრა წვრილ და საშუალო ბურჟუაზიისა. კლემანსოს მიერ შექმნილი ბურჟუაზიულ ეროვნული ბლოკი რომლის დროშის ქვეშ ჩატარდა უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნები 1919 წელს,—უეჭველად გაიბზარა.

მებრძოლი იმპერიალიზმის იდეოლოგიის დამარცხება აშკარა ხდება ბურჟუაზიის იმ ნაწილისათვის, რომელიც ვაჭრობა-მრეწველობაში ჩაბმული. ფორმულა „გერმანიიდან ავიღებთო“ აშკარად გაკოტრდა. ნაციონალური ბლოკის პოლიტიკას, რომლითაც ყოველივე საკითხი გარეშე თუ შინაგანი ცხოვრებისა უნდა გადაწყდეს იარაღის ჟღარუნით, გასავალი აქვს მხოლოთ ისეთ წრეებში, რომელიც პირდაპირ დაინტერესებულია ფინანსიური კაპიტალის და მილიტარისტების იმპერიალისტურ პოლიტიკაში. მომავალ საპარლამენტო არჩევნებში 1924 წლის დასაწყისში, გადავა, როგორც ეტყობა, მემარცხენე ბლოკის ხელში, რომელიც ეხლა სდგება.

უკანასკნელი ბლოკის ინიციატორებად გამოდიან რადიკალების და რადიკალ-სოციალისტების გაერთიანებული პარტიის ბელადები, რომელთაც ხელმძღვანელობენ სენატორი დუმერგი, ქალაქ ლიონის მოურავი ერნე და ყოფილი მინისტრ-პრეზიდენტი პენლევე. მათთან ერთად მიდიან სოციალ-რეფორმისტები, რომელნიც ჩამოშორდენ ძველ სოციალისტურ პარტიას 1920 წ. როცა უკანასკნელმა ტურის კონგრესზე დაადგინა მესამე ინტერნაციონალთან შეერთება.

ეს სოციალ-რეფორმისტები პირფერობით ემხრობიან მთლიან ფრონტს კომუნისტებთან და მართლა კი ჰქმნიან მთლიან ფრონტს მემარცხენე ბურჟუაზიასთან. მაგ. ლიონის ოლქის სოციალისტი დეპუტატი მუტე, ეხლა ესერების დამცველი, დიდი მომხრეა ყველა მემარცხენე რესპუბლიკანელების გაერთიანებისა სოციალისტებიანად.

საზოგადოთ განხეთქილების შემდეგ სოციალისტური პარტია დაადგა მარჯვნით მიმავალ გზას და თანდათან რიყავენ მემარცხენე ელემენტებს.

ფაქტიურ ძალას სოც. პარტიისა წარმოადგენს მისი 25,000 წევრი. პროლეტარიატზე მისი გავლენა ძლიერ მცირეა, მაგრამ პროფმოძრაობაში მომხდარ განხეთქილების შემდეგ მის გავლენის ქვეშ იმყოფება რამოდენიმედ რეფორმისტული კონფედერაცია, რომელსაც 250.000 წევრი ჰყავს. მიუხედავად ამისა საპარლამენტო. და ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებს არჩევნებში სოციალისტურ პარტიას იმედი უნდა ჰქონდეს გამარჯვებისა, ვინაიდან მისი კანდიდატები ძალიან სახელგანთქმულნი არიან მცხოვრებთა წვრილ ბურჟუაზიულ ნაწილში.

აღნიშნული განსხვავება ბურჟუაზიულ ფრთებს შორის გავლენას მოახდენს აუცილებლად რუსეთთან დამოკიდებულებაზედაც. მემარცხენე ბლოკის მომხრენი შეშფოთებულნი არიან პუანკარეს შოვინისტური პოლიტიკით. ამ მემარცხენე მიმდინარეობის სულის ჩამდგმელია რადიკალების ლიდერი, ყოფილი მინისტრი ფინანსებისა, კაიო, ავტორი შემოსავლის კვალობაზედ გადასახადის კანონისა, რომელიც განდევნილია საფრანგეთიდან.

კაიოს დიდი პოლიტიკური როლის თამაში მოელის, მიუხედავად სასამართლოს განაჩენისა, რომელიც გამოუტანეს კლემანსოს სამხედრო კომპანიის მომხრეებმა.

შეურიგებელი მოწინააღმდეგე საბჭოთა რუსეთისა არის პუანკარე. ისაა ნამდვილი ბელადი ნაციონალური ბლოკისა. ჭკვიანი, ჟინიანი და ენერგიული, რომელმაც იცის, რაც სურს, აგრეთვე შეუძლია დაისახოს და განახორციელოს აღებული მიზნის შესაფერი გზები,—ასეთია პუანკარე, რომელიც უეჭველად საშიშ მტერს წარმოადგენს. მაგრამ პუანკარესაც რომ შერჩეს ძალა-უფლება, მაშინაც შესაძლებელია რუსეთთან დამოკიდებულების შეცვლა, როგორც სავაჭრო-სამრეწველო წრეების ზეგავლენით, ისე საერთაშორისო ხასიათის ფაქტორებისაც.

პუანკარეს მოეცალა ბრიანი, რომელიც ნაციონალურ ბლოკის მხრით სიძულვილის გამო, იძულებულია დაადგეს ორიენტაციას მარცხნით. მაგრამ ბრიანი ისეთი პოლიტიკური მოღვაწეა, რომელსაც ეშინია გარკვეული პოზიციის დაჭერის თუ მომავალმა არჩევნებმა გამარჯვება მემარცხენე ბლოკს არგუნა, ბრიანი შეეცდება რაიმე კომბინაციებით სამინისტროს მოწყობას.

საფრანგეთის კომპარტიას ჰყავს 100.000 წევრამდე და ყოველ დღიური გაზეთები—2 პარიზში, სამიც პროვინციაში. ტურის კონგრესის შემდეგ, წევრთა რიცხვი შემცირდა, მაგრამ ეს არ ასუსტებს პარტიას, ვინაიდან ჩამოშორდა ისეთი ელემენტები, რომელთაც არ შეეძლოთ შეეთვისებიათ მესამე ინტერნაციონალის სული. კომპარტიის გაძლიერებას ხელი შეუშალა პროფმოძრაობაში მომხდარმა განხეთქილებამ. რეფორმისტულ კონფედერაციაში დარჩენილი მუშები დარჩენ კომპარტიის გავლენის გარეშე. კომპარტია მხარს უჭერს რევოლიუციურ კონფედერაციას (უნიტარულს). რომელშიაც საკმაო დიდი გავლენა აქვთ ანარქისტებს. მაგრამ უკანასკნელი ცნობების მიხედვით, უახლოვეს კონგრესზედ, ივნისის დამლევს გაიმარჯვებს კომუნისტების უფრო ახლობელი ჯგუფი გაზეთ „მუშათა ცხოვრებისა“.

აღსანიშნავია მოღვაწეობა პროფესიულ ორგანიზაციის „იუსტიკისა“, რომელიც აერთებს 2500-ამდე ტეხნიკოსებს, ინჟინერებს და ქარხნების დირექტორებს. ეს ორგანიზაცია იდეიურად ემხრობა კომპარტიას. ეს აიხსნება ნაწილობრივ ბოლშევიკური იდეების გაბრუნებით ინტელიგენციაში და აგრეთვე პირადი გავლენით „იუსტიკის“ მთავარი მდივანის როჟეს ფრანკისა, რომელიც რევოლიუციის დროს რუსეთში იყო და საფრანგეთში დაბრუნდა ბოლშევიკების მომხრეთ.

კომპარტიის განვითარებას ამრავლებს საფრანგეთში ტრადიციული ანარქო-სინდიკალისტური მიდრეკილება პროფკავშირებში და პარლამენტიზმში. მაგრამ კომინტერნის ხელმძღვანელობით პარტია დასძლევს ამ დაბრკოლებებს და მუშათა მოძრაობაში შეიტანს ახალ ნაკადს.

## ესერების პროცესი.

გენდელმანი აღნიშნავს, რომ ჩვენ ისტორია გაგვამართლებსო. ისტორიის თვალსაზრისით მე ვსთვლი საკითხს გადაწყვეტილად. რუსეთის პროლეტარიატზე და გლეხობაზე დაყრდნობილი საბჭოთა სახელმწიფოს განუწყვეტელ ბრძოლაში არსებობის ხუთმა წელმა დაგვანახვა ვის მხარეზედაც არის ისტორია. ისტორიამ გამოიტანა თვისი განაჩენი არა თქვენდა სასარგებლოდო ათავეზს კრილენკო, მიმართავს რა ბრალდებულებს.

მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა მეორე ჯგუფის დამცველმა ფელიქსოკონმა მისმა სიტყვამ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება და არა ერთხელ იფარებოდა იგი დამსწრე საზოგადოების მქუხარე ტაშისცემით და მოწონების ამოძახილებით. კონი ამბობს, რომ დამცველები მოითხოვენ სასამართლოს თვითკასტრაციას და თვითმკვლელობას, „ვინ შეიტანა პირველად ეხლანდელ პროცესში პოლიტიკური ნაკადი—იკითხება კონი, ვინ მიუთითა ბერლინის შეთანხმებაზე, ვინ შეეცადა ამ შეთანხმებით ზეგავლენა მოეხდინა ტრიბუნალის მომავალ განაჩენზე. ვანდერველდე წავიდა მაგრამ ის კვლავ განაგრძობს დამცველთა სკამებზე ფრიალს „და თუ სასამართლოს განაჩენზე ოლტკინებით ამაღლებას კიონის გავლენას ახდენენ მოსკოვის და პეტროგრადის მუშები, პირველი ჯგუფის დამცველებს ეს მიაჩნიათ დაუშვებლად და თუ სასამართლოს განაჩენზე გავლენას ახდენს ბელგიის მეფის მინისტრი ვანდერველდე, მაშინ დამცველები ამის წინააღმდეგ არაფერს ამბობენ. სასამართლოს პირველ დღეებში ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ ისინი არ სცნობენ უმაღლეს ტრიბუნალის სასამართლოს და მზათ არიან ეძიონ სამართალი მუშათა სასამართლოში, რომელსაც მოსკოვის და პეტროგრადის მუშებმა გაგზავნეს თავიანთი დელეგატები და გამოიტანეს განაჩენი, ბრალდებულთ ეს დაუშვებლად მიაჩნიათ, რად არის თანდათანობა, რა საჭიროა ლამაზი ფრაზები? დამცველები ამტკიცებენ რომ მუშები 2 ნახ. საათის განმავლობაში შეურაცხოფას აყენებდენ ბრალდებულებს, მაგრამ, როდესაც ბრალდებულებს პირველი ჯგუფი სისტემატიურად შეურაცხოფს ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფ მეორე ჯგუფს მაშინ პირველი ჯგუფის დამცველები დაჩუმებულნი არიან. აქ ორი საზომია; ერთის შეურაცხყოფა დასაშვებია, მეორესი არა.

მურავიოვი სცდილობს შეასრულოს შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა კრილენკოს და კონის სიტყვებმა რასაც ის ვერ ახერხებს. ის კითხულობს მთელ ლექციას კანონების და კანონიერების შესახებ და ბოლოს ხმის ამაღლებით ამბობს: ვაი იმ ქვეყანას და იმ ხალხს, რომელნიც ეპყრობიან კანონებს უპატივცემლოდ და დასცინიან იმ ადამიანებს, რომელნიც იცავენ ამ კანონს“.

ვინაიდან მურავიოვის სიტყვაში გამოსჭვიოდა შეურაცხოფა, რომელიც გადასროლილი იყო რუსეთის მხარეს მიმართ, თავმჯდომარემ თავის მოვალეობად ჩასთვალა მოეწოდებინა დამცველი წესრიგისაკენ.

სხდომა იხურება დაახლოვებით 4 საათზე.

დილის სხდომა 23 ივნისს იხსნება ბრალდებულ გენდელმანის ვრცელი განცხადებით, დამცველთა გუშინდელ განცხადების შესახებ. გენდელმანი იცავს უცხოეთის წასულ დამცველებს, ვანდერველდეს, ლიბნეხტს და როზენფელდს და შემდეგ უეცრად აცხადებს: „ჩვენ ბრალდებულთა პირველმა ჯგუფმა ვიცით, რომ მოსკოვში მომხდარი დემონსტრაცია წინ უძღოდა მუშების მასიურ დატუსაღებას. თავმჯდომარე მოითხოვს ბრალდებულისაგან ამა დამცველებს, აცხადებს რა, რომ სასამართლომ დატუსაღებათა შესახებ არ იცისო. დატუსაღებათა მაგიერ, რომელიც ბრალდებულს არ გაჩნდა გენდელმანი დაჟინებით ამბობს, რომ დატუსაღება იყო, რომ მუშები აცხადებდნენ, რომ ისინი არ წავლენ სადემონსტრაციოდ და დაინახავენ ყველას, რომ ისინი ესერებთან არიან. მოსკოვის მუშები გავიდნენ დემონსტრაციაში რა თავის ნებით, არამედ მუქარით, ყვირის გენდელმანი. თავმჯდომარე აწყვეტინებს მას და აცხადებს, რომ მას დაუშვებლად მიაჩნია მოსკოვის მუშებისათვის შეურაცხყოფის მიყენება სასამართლოს დარბაზში.

დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდენ 300.000 მუშები და მუშა ქალები. არავითარი მუქარით არ შეიძლება აიძულოთ ამოდენა მასა გამოვიდეს ქუჩაში. მე არ შემიძლია, აცხადებს თავმჯდომარე, ნება დავრთო ასეთი ცილიერი სიტყვებით მტკიცებას, რომელიც შეურაცხყოფას აყენებს მუშათა კლასს.

გენდელმანის შემდეგ გამოდის მეორე ჯგუფის ბრალდებული უსლოვი, რომელიც აცხადებს: „ჩვენი ჯგუფი სავსებით სცნობს რევოლიუციონურ ტრიბუნალს სასამართლოს, როგორც პროლეტარულ სასამართლოს. ჩვენ ვაცხადებთ, რომ მუშების დემონსტრაციამ მოსკოვის ქუჩებში და სასამართლოს დარბაზში დელეგატების მოსვლამ კიდევ მკაფიოდ გაუსვა ხაზი ტრიბუნალის კავშირს პროლეტარულ მასებთან. ჩვენი მეზობლები მარჯვნიდან არა ერთხელ აცხადებდნენ, რომ ისინი ვერ ენდობიან კომუნისტების სასამართლოს და მოითხოვდნენ მშრომელთა სამართალს, ხოლო როდესაც მშრომელთა სასამართლო გავიდა აქ და გამოიტანა თვისი განაჩენი, ისინი უარყოფდნენ მას და აცხადებდნენ პროტესტს. არა მუშათა სასამართლო სურთ ჩვენ მეზობლებს, აღტკინებით და ხმის კანკალით გაიძახის უსოვი, მათ სურთ ბურჟუაზიული სასამართლო, რომელიც გაამართლებდა მათ დანაშაულს მუშათა და გლეხთა წინაშე, მაგრამ ვინაიდან ასეთი სასამართლო მუშათა და გლეხთა რუსეთში არ არის. დიდ მათ ეძიონ იგი ვანდერველდეებიდან.

„დიდხანს ატყუებდით თქვენ მუშები, განაგრძობს უსოვი, დროა აიხადოთ ნიღაბები და უჩვენოთ ყველას ნამდვილი თქვენი სახე. მე—მუშა ვარ, მე ვსცდებოდი, ვიყავი ესერი, ვღებულობდი მონაწილეობას ესერების ბოროტმოქმედებაში. ეხლა მე თვალები ამეხილა და შევიცანი ცოდვები. მე არ მაშინებს დანაშაულობის პასუხისმგებლობა, მე არ მაშინებს პროლეტარიატის სასამართლო“. უსოვის შემდეგ სიტყვას თხოულობს ბრალდებული გოცი, რომელიც აცხადებს: „ჩვენ არ გვინდოდა იმ მუშათა დელეგატების შეურაცხყოფა, რომელიც აქ მოვიდნენ. ჩვენ გვჯერა მათი გულწრფელობა, მაგრამ ისინი შეცდარნი და აბნეულნი არიან“. გრძელი დეკლარაციის შესახებ, რომელიც არის გამეორება, რაც არა ერთხელ უთქვამს გოცს, ბრალდებული აღნიშნავს, რომ ბრალდებულთა მეორე ჯგუფი არის სხვა და სხვანაირი. ჩვენ არ ვკითხავთ, მაგრამ მეორე ჯგუფს ჩვენ ვსთვლით მოღალატეთ. გოცი იძლევა დაპირებას დაამტკიცოს ეს შემდეგ.

გოცის შემდეგ პირველი წუთიდან ლაპარაკობს ტიმოფეევი და მეორე ჯგუფიდან რატნერი. რატნერი მეორე ჯგუფის სახელით კატეგორიულად მოითხოვს, რომ სასამართლო დარჩეს ძველი შემადგენლობით.

მოკლე თათბირის შემდეგ, ტრიბუნალს გამოაქვს თავისი დადგენილება. თავმჯდომარე პიატაკოვი ამბობს, რომ ტრიბუნალს არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს მურავიოვის განცხადებას ისეთ განსაკუთრებული ხასიათის შეუმდგომლობის გამო, რომელიც გაცხადებული იქმნა დამცველის მიერ ტრიბუნალის თვით ლიკვიდაციის შესახებ. მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობის და სასამართლოს იურიდიულ გუნების გაგებით, რომელიც გამოიჩინა დამცველმა, შეისლება იხსნას მისი შეუმდგომლობა ტრიბუნალის თვითლიკვიდაციის შესახებ. სრულის შეგნებით და პროლეტარულ უფლების რევოლიუციონურად გაგებით ჩვენ დავუშვით დელეგაცია, მივიღეთ მონაწილეობა დემონსტრაციაში ტრიბუნალი მოქმედება არა შემთხვევით, არამედ თვისი მოქმედებათა მნიშვნელობის სრული შეგნებით. ამიტომ თუ დამცველთა ნაწილს მიაჩნია უკანონოდ ტრიბუნალის მოქმედება, მაშინ იმან კეთილ ინებოს და მიმართოს იმ ინსტრუქციას, რომელსაც ექვემდებარება ტრიბუნალი, ამ ნაწილმა უნდა მიმართოს ტრიბუნალის პლენუმს იუსტიციის სახ. კომისარიატს და სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

ამგვარად საკითხი ფორმალურად სწყდება სრულიად უბრალოდ. მაგრამ ტრიბუნალი, ხედავს ამ შემთხვევაში, რომ იურიდიულ არგუმენტაციის სამოსელში იმალება განსაზღვრული პოლიტიკური ბრძოლა არა განაჩენისათვის, არამედ ტრიბუნალის განაჩენის წინააღმდეგ.

## ჰააგის კონფერენცია

### ჰაეროპლანი ჰააგაში.

**ნაუენი.** 23 ივნისი. მოსკოვიდან კენიგსბერგზე ჰაეროპლანით შეუწყვეტელი მოგზაურობის შემდეგ საბჭოთა მთავრობის დელეგატი კრესტინსკი დაეშვა შპანდაუში.

### ვალების ქვეკომისიაში.

**ბორდო.** 24 ივნისი. რუსეთის ვალების ქვეკომისიამ, ალფანდის თავმჯდომარეობით, გადაწყვიტა შეკრიბოს სხვა და სხვა დელეგაციათა მასალები რუსეთის ვალების საკითხის შესახებ.

### კრედიტების ქვეკომისია.

**ბორდო.** 24 ივნისი. კრედიტების ქვეკომისიამ ავეცანას თავმჯდომარეობით, გადაწყვიტა ვინემ მუშაობას შეუდგებოდეს დაეკითხოს რუსეთის დელეგაციას ამ საკითხში რუსეთის თვალსაზრისის შესახებ.

### ლიტვინოვის განცხადება.

**ბორდო.** რუსეთის დელეგაციის მეთაურმა ლიტვინოვმა შეატყობინა გაზ. „იზვესტიას“, რომ საბჭოთა მთავრობას უარი შეუძლია სთქვას სესხზე თუ მოვალეები ძლიერ დიდ მოთხოვნილებას წარმოადგენენ. საბჭოთა რუსეთის სუვერენიტეტი აუცილებლად უნდა იქნეს ცნობილი ყველა სახელმწიფოთაგან.

## უცხოეთი

### მოლაპარაკება სესხის შესახებ.

**კრაუდენი,** 22 ივნისი. მოელიან მოლაპარაკების განახლებას გერმანიისათვის სესხის მიცემის შესახებ და საკონტრიბუციო პრობლემის გადაწყვეტის. გერმანიის პრესა ფიქრობს, რომ საფრანგეთის პოზიცია ხელმეორედ გახდის შეუძლებლად გერმანიის შეთანხმებას სხვა სახელმწიფოებთან.

### გერმანიის მეურნეობის დაცემა.

**ნაუენი,** 22 ივნისი. გერმანიის ბანკის წლიური ანგარიში ამტკიცებს გერმანიის მეურნეობის სამწუხარო დაცემას. 1913 წელთან შედარებით ბანკმა მოახდინა ოპერაციების მხოლოდ 65 პროცენტი, თუმცა იგი ამ ხნის შეერთებულია 6 პროვინციის ბანკებთან.

### საკუთარ ინტერესებისათვის.

**ნაუენი,** 22 ივნისი. ინგლისის მშრალთა საფინანსო საკითხების შესახებ ჯორჯ-კერმა კარდიფის სავაჭრო პალატისადმი მიმართვაში განაცხადა, რომ ის სახელმწიფო მოღვაწენი და ქვეყნები, რომელთაც უარი სთქვეს რუსეთისათვის დახმარებაზე მიდიან თავის საკუთარ გულის [illegible]

### საფრანგეთში.

[illegible]

**ნაუენი.** ივნ. 22 გაზ. „დეილი ნიუსის“ ცნობით, დიდი ბრიტანეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა მიიღო საფრანგეთის პასუხი ინგლისის მემორანდუმზე, რომელშიაც ინგლისი ატყობინებს თავის განზრახვას შეინარჩუნოს მცირე აზიის მოქმედების თავისუფლება იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი უარს იტყვის გავლენა მოახდინოს ანგორაზე. საფრანგეთის პასუხი შედგენილია მეგობრულად, მაგრამ გადაწყვეტილებას არ შეიცავს.

### პოლკოვნიკი გუზენი ანგორაში.

**ტრაპიზონი.** გაზ. „ისტიკბალის“ ცნობით, ოსმალეთ საფრანგეთის ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლების ანგორის მთავრობასთან შესათანხმებლად, ანგორაში ჩამოსულმა საფრანგეთის პოლკოვნიკი გუზენმა ანატოლიის პრესის წარმომადგენლებთან ერთად ინახულა გაზეთ „ენი გიუნის“ რედაქცია, სასწავლებლები და ოხმალეთის დიდი ეროვნული კრების წევრები.

### რატენაუს განცხადება.

**ნაუენი.** ივნისის 23-ს ჰავასის სააგენტოს ცნობით, რატენაუმ, რომელიც რეიხსტაგში უპასუხებდა შეკითხვებს ინგლისისა და საფრანგეთის მიერ რეინლანდის ნეიტრალიზაციის შესახებ, განაცხადა გერმანიის მთავრობის სახელით, რომ გერმანია არავითარ შემთხვევაში არ შეკრავს ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც შეიცავდა რეინლანდის დატოვებას ან და რომელიც დაარღვევდა ამ მხარის ხელშეუხებლობას. საარის ოლქის შესახებ რატენაუმ აღნიშნა, რომ ეს ოლქი განიცდის მძიმე მდგომარეობას ვერსალის ხელშეკრულების, წინააღმდეგ საშუალო მოლაპარაკებისა და რომ ერთა ლიგას არ განუსაზღვრავს ადმინისტრატიული დანაწილება ამ ოლქისა. ერთა ლიგას სურდა ჩამოერთმია გერმანიის მთავრობისათვის მზრუნველობა ამ ოლქში მცხოვრებ გერმანელთა ინტერესებზე, ამავე დროს კი გერმანიას არ შეეძლო გულგრილად ეცქირნა ამ გვარ გადაწყვეტილებისათვის, ვინაიდან მას არ შეუძლია მიიჩნიოს საარის ოლქი უცხო სახელმწიფოთ.

### გერმანიის ნახშირი.

**ნაუენი.** ივნისის 23-ს პრუსიის მთავრობამ მიმართა წინადადებით გერმანიის კაბინეტს შეამციროს რაოდენობა ნახშირისა, რომელიც უნდა ჩაბარდეს საკონტრიბუციო კომისიას, რადგანაც გერმანიის ეკონომიური ინტერესები და აგრეთვე მცხოვრებლებთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება ელექტრონით, გაზით და სხვა საგნებით ძალიან დამოკიდებულია ნახშირის პროდუქტების გადახდით და აგრეთვე ზემოსილეზიის დანაწილებით. საგარანტიო საერთაშორისო კომისიამ უარი განაცხადა პროტესტის განხილვაზე.

### ხიმართლე.

**ნაუენი.** ივნისის 23-ს გერმანიის სასამართლომ უარყო ყოფილი დიდი მთავრის ქსენიას შუამდგომლობა რუსეთის ყოფილ საელჩოს ბინის მისთვის გადაცემის შესახებ, რადგანაც საბჭოთა მთავრობის მიერ გაუქმებულია ყველა ძველი კანონები მემკვიდრეობის თაობაზე, რის გამოც ეს შენობა ავტომატიურად გადავიდა რუსეთის სახელმწიფოს გამგებლობაში.

### შეთანხმება ნახშირის საკითხის შესახებ.

**ბორდო.** ივნისის 23-ს მთავრობის და საგარანტიო კომისიის გუშინდელ სხდომაზე გუშინდელი სჯა-ბაასის შემდეგ მოელიან შეთანხმებას ნახშირის საკითხის შესახებ.

### გერმანიის ფინანსები.

**ბორდო.** ივნისის 23-ს ვირტმა, რომელმაც მიიღო გერმანიის სახელმწიფო ბანკის დირექტორები, რომელთაც განუცხადეს მას გერმანიის მარკის კურსის ცვალებადობის განსაზღვრის შეუძლებლობა,—აცნობა მათ რომ ძლიერ ძნელია ამ საკითხში ჩარევა ნაყოფიერი შედეგების იმედით.

### უკანასკნელი ცდა.

**ნაუენი.** ივნისის 23-ს ავსტრიის ფინანსთა მინისტრმა სეგიურმა შეიტანა ნაციონალურ საბჭოში კანონპროექტი ავსტრიის ფინანსების აღდგენის შესახებ. მისი აზრით ეს არის უკანასკნელი ცდა ფინანსების აღდგენისა. იგი იძლევა წინადადებას შინაგანი სესხის გამოშვების შესახებ, რათა შესაძლებელი შეიქნეს 500 მილიონი კრონის დეფიციტის დაფარვა.

### არჩევნებში იძულებითი მონაწილეობის მიღება.

**ბორდო** ივნისის 23 ს ის პირები რომელნიც ვერ წარმოადგენენ პატივსადებ მიზეზებს არჩევნებში გამოუცხადებლობისას, საარჩევნო დეკრეტის [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსიდან

„ა ნ დ ე რ ძ ი“

ჩემს პროცესიას ამშვენებდეს გალაქტიონი
გვარით—ტაბიძე და ტიტულით მეფე-მგოსანი.
მის ლექსთა თქმაზე ქვითინებდეს ძველი სიონი
და მწუხარებით დაიბუროს მხე სხივოსანი.

გიორგი ქუჩიშვილი.

## გალაქტიონ ტაბიძეს

მოგესალმები პოეზიის დიდო გრიგალო,
გაცისკროვნდება საქართველო შენის ხსენებით;
დგეხარ ისე, ვით თვალუწვდენი კლდეი პიტალო,
მიექანები ზეცისაკენ „ლურჯა ცხენებით“.
იფრინე ლაღად.. გადალახე ვარსკვლავთ კრებული,
ახალი ქვეყნის მოგვასმინე ჰანგი მზიური,
შენი სახელი უკვდავებას ზიარებული,
მარად იქნება მაღალი და ტიტანიური.

ლ. ძიძიგური.

1922 წ. ივნისის 19.

## გალაქტიონ ტაბიძეს

ღროს მოსაკლავად სახლიდან გარეთ!
შენ ხიდეებზე მიდიხარ კენტად,
ნირვიულ სახეს ჩვენ უნდა ვენდოთ,
მერის ხსენება გატირებს მწარედ.

შენი გვირგვინი მგოსნებმაც ვნახეთ
ცოდვილი ხელით რომ გადიმეტეს,
მაგრამ მფარველი მრავალ იმედის
მრავალი დარდი გულში ჩამარხე.

შენ მოიტანე შავი წიგნები,
არარაობით სამყარო გზარავს
ჩვენთვის ძვირფასი მუდამ იქნები—
დაგდაფნავთ ისე, როგორც არავის!

ქნარი



პოეტი გალაქტიონ ტაბიძე

* * *

...მე ჩავჩურჩულე ღამის ზეფირს მშვენება შენი,
მე გადავეცი ფიქრი ჩემი მთვარეს და მზესა,
მე გადავლახე ქვეყნის კიდე, ცის ზღუდე-ბჭენი,
ვერსად მიპოვა და თან მდევდა უკვდავი ...

ჯერ ისევ ბალღი, როს სამშობლოს სადიდებელად,
ცას მივაპყრობდი ფუსალ თვალს, ცრემლ შეუშრობელს,
როს სულს ვაბამდი გრძნობის ჩანგზე სიმად და ქსელად,
ხატება შენი ენასკვოდა ჩემს საგალობელს.

მე გამოვკვეთე სიფაქიზე შენის სულისა,
ძლიერის ხელით შევახავე შენში გონება,
შევთხზე თილისმა, საიდუმლო სიყვარულისა,
მასწავლე ტანჯვა, გადმომეცი ძლიერი ნება.

და რომ დავკარგო, რა დამრჩება სამაგიეროდ,
ვისთვის გამოსცეს ჩემმა ჩანგმა საზეო ძლერა,
შენ და სამშობლო,—აი ხვედრი საბედისწერო,
თქვენს ორს გეკუთვნისთ ჩემი სული, ჩემი სიმღერა!..

განდეგილი.

1917 წელი.

## ბ ე დ ი პ ო ე ტ ი ს

(გალაქტიონს)

საქართველოში ბედი პოეტის
გასაკვირია და საგალალო.
მას ფუნდუში ყოფა მოელის.
დღიურ ზრუნვაში ფიქრობს საზრდოს.
და აქ პოეტი რჩება ქართველად.
თანაგრძნობისთვის ძმასთან არ მიდის.
ილტვის, პირიქით, ფიქრთ გასართველად,
ვით ყრმა ყაზახის, მწირი მთაწმიდის...
არის სიცხოვლე მარტოობაში—
და შვება ჩვენი ტანჯვის ემბაზში...
სილამაზეა სულის ლტოლვაში
და გამარჯვება თვით წამებაში...

იახამანი

16 იანვ. 1922 წ. ტფილისი.

# გალაქტიონ ტაბიძე

ქართული მუზის მიჯნურია, მისი ტრფობით დამწვარი და ტყვექმნილი.

ტარიელივით აცრემლებული რაინდი, მასავით გაჭრილია ოცნების ველად, მაგრამ ვეფხვის ტყავის ნაცვლად უხდება ჰამლეტის შავი მოსასხურავი, როცა გამოუცნობი, სევდით შეპყრობილი დაეძებს ოფელიას.

უძილო ღამეების მეგობარი და სათუთ ნერვებით მოსაუბრე გალაქტიონი მთვარის სხივებზედ უდარო ნაზი მგოსანია.

როდესაც მისი დაღლილი სულის აკორდი აქვითინდება გლოვის ჰანგზედ, სადღაც გრძნობათა სიღრმეში იწვევს უჩვეულო ათრთოლვებას და სწურავს სევდის ცრემლებს.

—

ტირიფივით განმარტოვებული სდგას გალაქტიონის მუზა ცხოვრების ტბის ნაპირას და სევდით დამძიმებული იყურება მის უძირო სიღრმეში; ალბად იქ დაეძებს ხიცოხლის საიდუმლოებას, რომელიც ვერ ჰპოვა ღამის წყვდიადში.

ობოლ ტირიფს ზედ აყრია ჯანჯვით ნაკურთ ცრემლები მარგალიტებად.

ზოგიერთებს ისინი დილის ცვარი ჰგონიათ ზეცად რომ იტაცებს ხოლმე მზის სხივები შეყვარებული...

მაგრამ ნუ გეშინიათ:

ღამე, ჩუმად, ისევ იტირებს ნაზი მგოსანი და ობოლი ტირიფი ისევ მარგალიტებით დაიტვირთება.

ომეგა.

# გალაქტიონ ტაბიძე*)

II.

...1915 წ., იანვრის თვეში, როცა აკაკი გარდაიცვალა, სულ ახალგაზრდა მგოსანმა ჩემს ჟურნალ „განთიადში“ დასტამბა ფრიად შესანიშნავი ლექსი „აკაკის გარდაცვალების გამო“. ამ ძლიერს და დიდი ენტუზიაზმით აღსავსე ლექსში, რომელიც თავიდან ბოლომდი ერთიანი სიცოცხლე, გრაცია, გრძნობა და აზრია, მგოსანი გალაქტიონ ტაბიძე ანუგეშებდა ამ დიდი ეროვნული უბედურებით გულმოკლულ ქართველობას, რომ აკაკიმ

სულ უცვლელი უკვდავება
ირგვლივ დამყარა...
საქართველოვ! მაშ, აკაკი
არ მომკვდარა, არა!.. და სხვ.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ფეოდალიზმი ძირფესვიანად ამოაგდო და ამ გარემოებასთან ერთად სოფელსაც უნდა საქართველოში დაეკარგა ჰეგემონია და პირველ ადგილზე დამდგარიყო ქალაქი... ლიტერატურასაც ქალაქი დაეუფლა. ეს მთელი ეპოქაა დღეს ჩვენში და ამ ეპოქის ფილოსოფოსი, მიუცილებლად, უნდა დაბადოს ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ...

ჯერ-ჯერობით-კი ქართულ ლირიკაში პირველი მერცხალი ასეთი ახალი ლიტერატურისა შეიქნა გალაქტიონ ტაბიძე და ამაშია მისი განსაკუთრებული ინდივიდუალური მნიშვნელობა. ამის უტყუარი საბუთია მისი ლექსების მეორე წიგნი. აქ სრულიად განსხვავებულია მგოსნის რიტმიც, რითმაც, სტილიც, წერის მანერაც, გრძნობა და აზრიც. კარგ გუნებაზე მოყვანილი პოეტის მღელვარე, დაუცხრომელ გრძნობათა აღმაფრენას და გულწრფელებას, საკუთარი ტემპერამენტით განცდათა სიტურფეს, რითმათა მრავალგვარობასა და მშვენიერებას, სალიტერატურო ფორმათა ნაირნაირობას და სილამაზეს, ლექსთა მუსიკალობასა და სინაზე-სინარნარეს...

ამ ლექსებში გალაქტიონ ტაბიძე—ნამდვილი და ჭეშმარიტი იმპრესიონისტია.

დღევანდელი მხატვარი—მგოსანი, მიუცილებლად, იმპრესიონისტი უნდა იყვეს. და ასეთებიც არიან დღეს ჩვენში: კოტე მაყაშვილის, ს. აბაშელი, ი. გრიშაშვილი და სხვ.

სად შეუძლია დღევანდელ ქართველ მგოსანს, რომელიც ცხოვრებამ მჭარე ყოფაში ჩააგდო, დიდხანს შეჩერდეს ერთ აზრზე, ერთ გრძნობაზე და ერთი და იგივე შთაბეჭდილება აგუნდაოს. დღევანდელ ცხოვრებაში ქარიშხალივით მიქრის და მიფრენს პოეტის მიერ ნახული და განცდილი სანახაობა, სურათები, შთაბეჭდილებანი. ამიტომაც, დღევანდელი მგოსანი ვერც ასწრებს საფუძვლიანათ, ყოველის მხრით გარკვევით, ნათლად მათ ჩამოსხმას და დახატვას. ზევრჯელ, მას არა თუ ქაღალდი, მელანიც არა აქვს, მელანიც რომ ქონდეს, კალამიც არ გააჩნია. ამიტომაც განახევრდა, ასე ვთქვათ, შთაბეჭდილებანი, გულისთქმანი, გრძნობანი, რომელნიც საშინლად დააწვრილმანა, დაახურდავა ჩვენი დიდი ქალაქის აზვირთებულმა, აჰრელებულმა ცხოვრების ნაირნაირობამ და გამწარებამ...

ახლანდელ ქართველ მგოსანს არცა სცალია შთაბეჭდილებასა და გრძნობათა დიდის მხატვრობით გამოთქმას დაუწვრილმანდეს. პოეტმა ერთ საათში, ან უკეთა ვთქვათ, ერთ წამში რამდენიმე შთაბეჭდილება მიიღო და ეს შთაბეჭდილებანიც ელვის სისწრაფით გაქრენ და ადგილი დაუთმეს ახალ-ახალ სხვა სანახაობას, სხვა სახე სურათებს... დღევანდელი პოეტიც ამ ქამად ვთქვათ გალაქტიონიც მიყვება ამათ და სწერს ნაწყვეტებს, მსუბუქი და ცელქი ნიავით, მძივებათ ასხმულ და დაუსრულებელ, მოკლე-მოკლე შთაბეჭდილებებს და იმას როდი დაგიდევს, ეს რამდენათ მართალი, მიხედვრილად უტყუარი გამოდის მის მიერ განცდილი შთაბეჭდილებანი. პოეტს უნდა დახატოს ის, რაც ნახა ამ წამში, რაც თვით განიცადა და არა ხელოვნურად დახატოს საგანი შთაბეჭდილება, სწორი, ნამდვილი ისეთი, როგორიც არის განცდილი ეს საგანი ფსიხოლოგიურად. ამისთვის დღევანდელი მგოსანი—იმპრესიონისტი არც ფიქრობს, არც წვალობს, არც დარდობს...

გალაქტიონ ტაბიძისთვის მის საკუთარ, ინდივიდუალურ შთაბეჭდილებებს, გრძნობებსა და განცდათა საკუთარს ილუზიებს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. აი მაგალითად პოეტმა ნახა პეტროგრადი. თქვენა გგონიათ მან მიაქცია ყურადღება რაიმე ისტორიულს ან თანამედროვე პოლიტიკურ პეტერბურგისას? არა, თქვენ თვით წაიკითხეთ (გვ. 109) თუ რაზე სწერს პოეტი და ლამაზათაც სწერს. მე კი ადგილის ეკონომიისათვის ამ ლექსს აქ არ მოვიყვან.

გალაქტიონ ტაბიძის ლაზათიანი სტილი და აწყობილი სული მშვენიერი, ნაზი ლირიზმით გადატანილია ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის ტფილისზედ, რომელსაც ბედმა არგუნა პარიზათ იქცეს. დიადი მგოსნები, ნ. ბარათაშვილის და აკაკის შემდეგ, კლასიკურმა მთაწმინდამ კიდევ შესძლო გალაქტიონის ლამაზ ლირიკაში გაღვიძება—„მთაწმინდა მთვარეში“ (გვ. 54) ნერვებ დაჭანცულ მგოსანს დედა-ქალაქის გაჩირაღდნებულ თეატრში ხშირად მოაგონდება საქართველოს სოფლებიც... არაგვი (გვ. 80).

ჩვენი მგოსანი ქალაქის სასახლეებიდან მიეშურება უმანკო ჩასახების მამათა სავანისაკენ“... სიონის კარებისაკენ მიეშურება და თვალწინ დაეხატება მის მშვენიერ ყვავილებში ჩაფლული სოფელი.

რტოებში ავობს ბებერი ქარი,
ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს.
ტყდება, ნანაოის ეთერი ჩქარი,
ნანაობს ქარი და მიქანაობს... (ატმის ყვავილები გვ. 37).

რა მშვენიერებაა! აქ რითმები შიგ შუა სტრიქონების გულშიაც არის...

მშვენიერია ლექსები: პირიმზე, მარიამი, ის, ლურჯა ცხენები, თოვლი და სხვა. გალაქტიონ ტაბიძემ ამ ლექსებით ჩვენში შექმნა საკუთარი, ინდივიდუალური ესთეტიკა. და თუმცა პოეტს „ბედითი დაწყევლილი გზაზე სიკვდილის ლანდი მოეჩვენება, მარა მან იცის ფასი სიცოცხლისა, მოდერნისტივით სიკვდილს ჰიმნს არ უგალობს და გულმხიარული მღერის:

ამაღლდი, სულო, თეთრ კლდეამაზე,
მშვენიერების ლექსით მქებელი...
დღეს ყველგან მზეა და სილამაზე
საკვდილთან შენი შემრიგებელი!!.

ბოლოს, ნება მიბოძეთ, გალაქტიონ ტაბიძის ტურფა ლირიკის მოკლე კრიტიკული დახასიათება დავასრულო ერთი უმშვენიერესი მისი ლექსის აქ მოტანით (აკაკის ლანდი. გვ. 67):

მდუმარე მხარეს შორი მთებისას,
დახარის ღამე და ანდამანტი.
იქ, როგორც ლანდი მწუხარებისა
გამოჩნდა მაღალ პოეტის ლანდი!
თეთრი ჰაღარით მოსილი თმები
ელავდა ელვის ელვა-ციმციმით,
და მოზიმლული იყო მთიები
დიდებულ სახის ღვთაებრივ დიმით.
მძიმე დაღლილ ფეხის ხმას გრძნობდა
წელი-ნელ მსვლელი დრუბელი ჩუმი,
და მიაძრახობდა ღამის მხათოპთა
ადელვებული ელიზიუმი.
გრძნობდა თანაბარ ბოძხლოებას
გაცვიფრებული და დიდი მთები,
შეუცნობ-ხშირი შრიალით შეკრთა
მშობლიური ტყის მწვანე ზვირთები.
მაშინ ბავშივით მიჩუმდა შივრი,
შეწყდა ძლიერეთ ზვირთების მღერა.
მხოლოდ გრიალმა გზა მრავალფერი
და საიდუმლო შუქით შემოსა
მიწყნარებული გზა იშვიათი:
ჩუმად, დაღლილი სანთლებით მოდის
მწუხარე ლანდი.. მაღალი ლანდი.
ოჰ! ასეთი დღეს განსაცდელი
და არ დაგვეტოვებს პოეტი ობლად,
რომ არ ახთოს ისევ სახთელი
დავიწყებული ხატის მახლობლად.
იქნება ჩვენთვის, იქნება ჩვენში,
იქნება ჩვენთან მარად და მარად!
ჩვენის სიზმრების სიდიადეში
ჩვენი ფიქრების ლურჯ ნიავ-ქარად.
არ მოგვაკლებს მადლს და შუქს უხიტყვოს
მისი, პოეტის მაღლით ანთება.
კურთხეულ იყოს, კურთხეულ იყოს.
კურთხეულ იყოს ეს მოლანდება...

ხომლელი.

*) ამოღებულია დაუბეჭდავი სტატიიდან „გალაქტიონ ტაბიძე“.

ავტ.

---

ლით პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

**სამხედრო სამსახურის წესდება**

ნაუენი. 24 ივნისი. დეპუტატთა პალატამ საბოლოოდ მოიწონა 18 თვით სამხედრო სამსახურის ვადის დაწესება. ამ წინადადებას ხმა მისცა 340 დეპუტატმა, წინაღმდეგ 53.

**შანცერი მიემგზავრება პარიზში.**

ნაუენი. 24 ივნისი. ლლოიდ-ჯორჯთან თათბირის შემდეგ, შანცერი მომავალ კვირაში გაემგზავრება პარიზში პუანკარესთან სათათბიროდ.

**იტალია და რუსეთი.**

ბორდო. 24 ივნისი. რუსეთ იტალიის ხელშეკრულების დაუმტკიცებლობის გამო მოსკოვიდან იტყობინებიან, რომ ჩიჩერინმა აცნობა იტალიის დელეგაციას: რატიფიკაცია სავალდებულო არის.

**რეიხსტაგში**

ბორდო. 24 ივნისი. ვისბადენის ხელშეკრულების რეიხსტაგში გარჩევის დროს, ზოგიერთმა სოციალისტმა შტამპერმა განაცხადა, რომ მისი პარტია ხმას მისცემს ხელშეკრულებას ომის თავიდან აცილების სურვილის გამო.

**ელჩთა კონფერენციის ნოტა გერმანიას.**

ნაუენი. 24 ივნისი ელჩების კონფერენციამ მიმართა პროტესტით გერმანიას ლებეს სიტყვის გამო, რომელიც მან წარმოსთქვა რეიხსტაგში გერმანიისა და ავსტრიის შეერთების შესახებ. ამ სიტყვაში ლებემ განაცხადა, რომ თუ მცა იგი მომხრეა კანონიერი იდეებისა, მაგრამ იგი ფიქრობს, რომ ავსტრიას დღევანდელ მის პირობებში არსებობა არ შეუძლია და დამოუკიდებლივ ცხოვრებას ის ვერ შეინარჩუნებს. ერთ კონფერენციის ნოტის შესახებ ლებემ განაცხადა, რომ მას არ შეუძლია პასუხი აგოს ელჩების კონფერენციის წინაშე და არც ცნობს მათ ცენზურას. ამ გვარი შინაარსის განცხადება გადასცა მან რეიხსტაგის თავმჯდომარეს. გერმანიის პრესას ელჩების კონფერენციის ნოტა მიაჩნია სუვერენულ სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევის ჩვეულო შემთხვევათ.

**რეინლანდში.**

ნაუენი. 24 ივნისი. გერმანიის მთავრობის პროტესტების მიუხედავათ, ფრანგებმა გააკეთეს ბანაკი ჯარისკაცებისათვის ბინგენში, სწორეთ ნიდერვალდის ნაციონალური ძეგლის პირდაპირ.

# ახალი ამბები

— **ექსკრუსია.** სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლთან არსებულ საექსკურსიო ბიურო ივნისის 25 აწყობს ექსკურსიას უძოს მთაზედ კოჯორის ახლოს. ექსკურსია გაემგზავრება ფეხით დილის 9 საათზედ. მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას. თავი უნდა მოიყარონ ხსენებულ სახლთან პუშკინის ბიბლიოთეკის შენობასთან, დილის 8 საათისათვის.

— **ტრესტის გამოფენა იარმუკიდან.** ივნისის 22 დაბრუნდნენ ტფილისში ყურულიშვილი და სხვები, რომელნიც გაგზავნილი იყვნენ იქ. გამოფენა გადაუდვიათ შემოდგომისათვის.

— **ბამბის მრეწველობა.** ამიერ კავკასიაში მოვიდნენ რუსეთის ბამბის მთავარი კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ლიუბიმოვი, კომიტეტის წევრი აგრონომი იუდვერგევი და ინსპექტორი ამხ. სამოილოვი. უნდათ დაამყარონ კონტაქტი მოსკოვსა და ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს შორის ბამბის მრეწველობის აღდგენის საქმეში. მოსულებმა აზერბეიჯანში შეჰკრეს დამატებით პირობა ბამბის შესყიდვის შესახებ, რაც შეეხება უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებას მუშაობაში, რაც განზრახულია საპაიო ამხანაგობის დაარსებაში, გადაიდო ძირითად შეთანხმების გამომუშავებამდე. აზერბეიჯანიდან ხსენებული პირები ჩამოვიდენ ტფილისში და აქედან ამხ. მიასნიკოვთან ერთად გაემგზავრენ ერევანში.

— **სახლხო ბანკის ვალდებულებანი** სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციაში დაათავეს სახალხო ბანკის ვალდებულებათა ბეჭდვა. მალე დროში ეს ვალდებულებანი გამოშვებული იქნება ბაზარზედ დასატრიალებლად და განაღდებულ იქნება, როგორც ბანკას ისე ყველა განყოფილებები მიერ წარდგენისათანავე.

— **სატყეო მუზეუმი.** ჯანმრთელობის კომისარიატის გადაწყვეტილებით, ამ რამოდენიმე ხნის წინად განათლების კომისარიატს გადაეცა მირზოევის სატყეო მუზეუმი, რომელიც მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სამეურნეო ფაკულტეტისათვის. ამ ჟამად განათლების კომისარიატი შუამდგომლობს კომისართა საბჭოს წინაშე, რათა მიეცეს მას 50 000.000 მანეთი აღნიშნული მუზეუმის ტფილისში ჩამოსატანად.

— **სასურსათო ხარჯი.** უკანასკნელ სასურსათო თათბირზე წარმომადგენლებმა ადგილებიდან აღძრეს საკითხი, რათა ადგილობრივ საბჭოების სასარგებლოთ გადარიცხული ყოფილიყო განსაზღვრული პროცენტი იმ შემოსავლიდან, რომელსაც ღებულობს სახელმწიფო სასურსათო გადასახადის სახით. ამის გამო სასურსათო კომისარიატმა შეიმუშავა და წარმოადგინა სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად დადგენილების პროექტი, რომლითაც მოგროვილი სასურსათო გადასახადიდან გადადებულ უნდა იქნას 5 პროც. სათემო კომიტეტების სასარგებლოდ.

— **დასავლეთ საქართველოში მოსავლის პირი.** ხანგრძლივი გვალვის შემდეგ ამ დღეებში მოვიდა წვიმა სენაკის. მაზრაში და ქუთ. მაზრის ნაწილშიაც სიმინდის პირი სენაკისა, ქუთაისის და ოზურგეთის მაზრებში საშუალოა. ზამთრის ნათესები გვალვისაგან რამოდენიმედ დაზიანდა და ზოგიერთ ადგილას მოითხოვს ხელახალ დათესვას. საზოგადოთ ვენახები და ნათესები მოსარწყავ ადგილებში დამაკმაყოფილებელია. მოურწყავ ადგილებში გვალვამ თვალსაჩინოდ იმოქმედა როგორც ნათესებზე, აგრეთვე ვენახებზე და მოსალოდნელი მოსავალი უნდა ვიფიქროთ შემცირდება 30 პროცენტით.

ხეხილის ბაღები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ბოსტნები იძლევა საუცხოვო მოსავალს ქუთაისის მაზრაში.

— **მუშათა სახლების აღმშენებლობა.** ტფ. ქალ. კომუნალური მეურნეობის განყოფილებისაგან შემუშავებული თეზისები ოთხ-ბინიანი მუშათა სახლების აშენების შესახებ კომუნალურ განყოფილების ამხ. ი. წივწივაძემ გადასცა ს. პროფ. კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმს, სადაც ეს თეზისები განხილულ იქნებიან და სადაც ამასთანავე თავმჯდომარე საბინაო ამხ. ორგანიზაციული ბიუროსი ვ. ი. როხლინი გააკეთებს მოხსენებას მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივზე.

— **კომუნალური ჰიპოტეკური ბანკი.** საბინაო ამხ. ორგანიზაციული ბიურო ამუშავებს პროექტს საბჭოში კომუნალური ჰიპოტეკური ბანკის შესაქმნელად დამუშავებული პროექტი იქნება წარმოდგენილი დასამტკიცებლად ტფ. ქალ. აღმასკომს.

— **სახლმფლობელების რეგისტრაცია** კერძო სახლთმფლობელობის რეგისტრაციის დაწყებიდანვე ტფ. ქალ. კომუნალურ მეურნეობის მიწათმოქმედების განყოფილებას 22 ივნისამდის მისცა კერძო სახლის მფლობელებს 2566 სარეგისტრაციო ბარათი.

— **პროფესიონალური ცხოვრება.** მქსოველთა პროფკავშირის ცენტრალური მმართველობა შეუდგა მუშაობას დეპუტატების არჩევნებისათვის, 24 ივნისის სრულიად საქართველოს კავშირის წევრთა თათბირისათვის.

— **ტფილისის საბჭოს ხელახალი არჩევნები** ტფილისის საბჭოს ხელ-ახალი არჩევნებისათვის ქალაქის აღმასკომმა გადასდო 20.000.000 მანეთი.

— **საქონლის ჭირი.** 7—15 ივნისამდე შემთხვევები იყო შემდეგ სოფლებში—ყიზილ-კილისში, დადარუნში, აწაურში და სხვ.

— ბაკურიანიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ჭირის შემთხვევები არის მსხვილფეხა ჯოგში.

— **მეაბრეშუმეთა და მეფუტკრეთა კურსები.** მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ ტფილისის მეაბრეშუმეთა სადგურთან გაიხსნა 2 თვიანი კურსები მეაბრეშუმეთა და მეფუტკრეთა. 11 მოსწავლიდან 9 კაცი უკვე დაასრულა

— **კარლოს მარქსის ძეგლი.** მოქანდაკე ნიკოლაძის მიერ გაკეთებულია კარლოს მარქსის მოდელი, რომელიც დაიდგმება ვორონცოვის მოედანზე.

— **მუნიციპალიზაციით ჩამორთმეული სახლები.** ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, მუნიციპალიზაციით ჩამორთმეულ სახლებთა რიცხვში შეტანილია ველიამინის ქუჩის სახლი № 24.

— **ტფილისის ქალაქის კომუნალურ მეურეობაში.** მუშავდება პროექტი განყოფილების რეკონსტრუქციისათვის. განზრახულია მიწათ-მოქმედების სექციის შექმნა, რომელშიაც შევა ქვესექციის სახელწოდებით კოლექტიური მეურნეობის სექცია და მიწის მზომელთა სექცია.

ეხლა მიწათ-მოქმედების განყოფილებაში შედის შემდეგ სექციებათ—ტეხნიკური, მზომავი, ვეტერინალურ—სანიტარული, სასურსათო გადასახადის და დროებით, სახლების სარეგისტრაციო სექცია.

— **დახმარება ს. მანავის მცხოვრებთ.** გასულს წლის აპრილში ნიაღვრებმა და დიდმა წვიმებმა მეტად დააზარალა ს. მანავის მცხოვრებლები. ამის გამო ადგილობრივმა აღმასრულებელმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის წინაშე რათა აღმოჩენოდა დაზარალებულ მცხოვრებთ მცირედი დახმარება მაინც. აღმასრულებელი კომიტეტის მიერ აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქმნა და მიეცა დაზარალებულ მცხოვრებთ 10,000. მანეთი.

— **სკრის სახალხო მამული.** მიწად მოქმედების კომისარიატის მიერ წარდგენილია სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად ხარჯთაღრიცხვა სკრის სახალხო მამულში მდინარე „შეძლობის" ნაპირების შეკეთების შესახებ.

— **ნაქერალას გზატკეცილი.** რაჭის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს გადაუწყვეტია შეუდგეს ნაქერალას გზა ტკეცილის გაკეთებას, რისთვისაც მან აღძრა შუამდგომლობა ცენტრის წინაშე, რათა აღმოეჩინათ მათ ცენტრიდან შესაფერისი დახმარება როგორც ფულის გაღებით, ისე ტეხნიკური იარაღების მიწოდებით. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი უდგენს აღნიშნულ შუამდგომლობის სახალხო კომისართა საბჭოს და თავის მხრითაც შუამდგომლობს, გაეწიოს რაჭის აღმასკომს შესაფერისი დახმარება, ვინაიდან ნაქერალის გზატკეცილის გაყვანა რაჭის მაზრისთვის წარმოადგენს მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვან საკითხს.

— **საბინაო კოოპერაცია.** აღმშენებელთა პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებულმა ტეხნიკურმა სექციამ მოისმინა რა მოხსენებანი ვ. ი. როხლინისა საბინაო კოოპერაციაზე და ინჟ. იაკუბოვიჩისა მუშათა სახლის ტიპზე, დაადგინა—შეადგინოს კომისია ამ საკითხის დაწვრილებით განსახილველად, რომელშიაც შევლენ ამხ. ჩისლიევი, სიმონსონი და კორინთელი.

— **საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა.** შემდგარმა საბინაო ამხანაგობამ გამოიმუშავა პროექტი ნორმალური წესდებისა საბინაო და საბინაო-სამშენებლო ამხანაგობათა და გადასცა ის ტფილისის ქალ. კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას განსახილველად და დასამტკიცებლად ტფ. ქალ. აღმასკომისათვის.

## სამხატვრო ქრონიკა.

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** კვირას, ივნისის 26, დილის 11 საათზე, ხელოვანთა სასახლეში (სერგეევის ქ. № 13), მოხდება საქ. საისტ. და საეთ. საზოგადო კრება, რომელზედაც პროფ. ივ. ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას; **„საქართველოს შინაური და საგარეო მდგომარეობა მე 18 საუკუნის მეორე ნახევარში,**

# რკინის გზა და სახელმწიფო

არავის ეგონოს, რომ ამ წერილში ლაპარაკი იქნება რკინის გზის მნიშვნელობაზე სახელმწიფოსთვის.

არა, აქ გვაინტერესებს რკინის გზისა და სახელმწიფოს შორის უფლებრივად დამოკიდებულების გამორკვევა.

მართალია დღეს აქვს ადგილი ათასგვარ კურიოზებს, რომლებიც „ახალ იდეებათ" საღდება,—მაგრამ ეს კიდევ არ ამართლებს იმ კაპრიზს, რომელსაც იჩენს ამიერ კავკასიის რკინის გზის მართველობა ამა თუ იმ საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ. ეს აცხადებს, რომ არც ერთ საბჭოთა რესპუბლიკას არ შეუძლია ისარგებლოს ნისიათ რკინის გზაზე.

„ყველაფერი ნაღდზე"—ეს მცნება კარგათ შეუთვისებია მას (რკინის გზას) და ამით ცდილობს უკლებლივ გაატაროს ცხოვრებაში ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრინციპები.

კონკრეტიული ფაქტი. დღეს ტფილისში არის ათასამდე მასწავლებელი, მოწაფე და სტუდენტი, რომლებიც დღითი დღე მოელოდებიან პროვინციებში გამგზავრებას. მასწავლებლებს პირდება ქალაქის განათლების განყოფილება, სტუდენტებს—სტუდენტთა საბჭო, ორივეს კი—სახალხო განათლების კომისარიატი და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო, მაგრამ ეს საკითხი დღემდისაც გადაუჭრელია, მიუხედავათ იმისა, რომ მშრალი დაპირებით 14 დღეზე მეტია კვებავენ მშიერ მასწავლებლებსა და სტუდენტებს, რომლებიც უკანასკნელ გროშებს ხარჯვენ გამგზავრების მოლოდინში.

რაშია საქმე?

საქართველოს კომისართა საბჭოს ეს საკითხი დიდი ხანია დადებითად აქვს გადაჭრილი, მაგრამ საკითხი მაინც საკითხად რჩება, სიტყვა უსაქმოდ.

რკინის გზა ნაღდს მოითხოვს. მთავრობას ნაღდი არ აქვს. იმათ „ვაჭრობაში" მშიერი ხალხი სასოწარკვეთილებამდე მიდის და მიმართავს ერთად ერთ საშველებას; **დასავლეთ საქართველოში ფეხით გამგზავრებას!**

უცნაური მოვლენაა! განა შეიძლება ასე აბუჩად აგდება იმ ხალხის, რომლის ერთი ნაწილი უკვე მუშაობს საბჭოთა აღმშენებლობის ხარჯზე და მეორე ნაწილი მოწოდებულია ჩაებას ამ აღმშენებლობაში ამ მოკლე ხანში?!

ეხლა. როგორც გვატყობინებენ, ეს საკითხი დასმულია ამიერ კავკასიის საკავშირო საბჭოში, მაგრამ სად არის იმის გარანტია, რომ რკინის გზა კიდევ „ნაღდს" არ მოითხოვს და უარით არ გაისტუმრებს საკავშირო საბჭოსაც...

მ. ს.

# თეატრი და ხელოვნება

**გამოცდები სახელმწიფო 1 კონსერვატორიაში.**

ახლა უფრო, ვიდრე მაშინ, როცა მე ვიყავი მუსიკალურ საზოგადოების ტფილისის განყოფილების დირექციის წევრათ, მაინტერესებს კონსერვატორიის საქმის მდგომარეობა. დიდი სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგიური—სამხატვრო მხარე მოღვაწეობისა სათანადო დონეზე სდგას. მართალია კონსერვატორიის ახლანდელ დირექციას დიდი ფხიანობა არ გამოუჩენია კონცერტების გამართვაში, მაგრამ, სამაგიეროთ მთელი ენერგია მოუხმარიათ პედაგოგიური მხარისათვის. მოწაფეთა ორი სიმფონიური კონცერტი. რომლის შესახებაც მე თავის დროზე მქონდა მოყვანილი ცნობები, და ამ ჟამად წარმოებული გამოცდები საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია ზემონათქვამისა. მოხდა ფორტეპიანოს კლასის იმ მოწაფეთა გამოცდა, რომელნიც ათავებენ კონსერვატორიას. ეს დარგი პირდაპირ ბრწყინვალეთ არის დაყენებული. საერთოდ დირექტორი ფალიაშვილი დიდ ყურადღებას აქცევს საქმის სერიოზულად დაყენებას. მე არ ვიცი როგორ სდგას პედაგოგიური მხარე რუსულ კონსერვატორიებში, მაგრამ რამოდენიმე წლის წინად დავესწარი გამოცდებს ამ კონსერვატორიებში და საქმე სამაგალითოდ იყო დაყენებული მოქ. ფალიაშვილი სასტიკად იცავს რუსულ სახელმწიფო კონსერვატორიების მიღებულ პროგრამას. ისინი, ვინც ათავებენ, ასრულებენ ბახის, ბეთჰოვენის, მოცარტის, შუმანის, ლისტის, შოპენის საუკეთესო ნაწარმოებებს. კონსერვატორიის კურსი ფორტეპიანოს კლასით დაამთავრეს პროფ. აისბერგის, ტრუსკოვსკის, ტერ სტეფანოვის და ვინოგრადოვის და უფროს მასწავლებლის ალიხანოვის მოწაფეებმა. აღსანიშნავია ოთხი მოწაფე, რომელთაც გზა გაუხსნათ მომავალი მოღვაწეობისთვის. ეს არიან; ა) ვინოგრადოვის კლასის მოწაფე ხოსროევა, რომელიც ორი წლის წინად ჩამოვიდა პეტერბურგიდან, სადაც მეცადინეობდა პროფ. ბარინოვთან. მან შეასრულა prelude და ფუგა Wohltemperirtes clavier იოჰან სებასტიან ბახის,—მოცარტის pastoral ariê, ბეთჰოვენის სონატა opus 132, შუმანის ფანტაზია c-dur, შოპენის Nocturne a mole და ლისტის ბალადა. იგი უკვე დასრულებული პიანისტკაა როგორც ტეხნიკის, ისე მხატვრულის მხრივ. ბ) აისენბერგის კლასის მოწაფე ვიგოდსკი, ერთ-ერთი საუკეთესო დამკვრელთაგანი ტფილისში, დაჯილდოვებულია დიდი მხატვრული გაგებით. შეასრულა; prelude და ფუგა ბახის Nowelletten—შუმანის, Sonate Appassionata—ბეთჰოვენის, Sonate N-moll—შოპენისა და Mephisto Walzer [illegible] დასრულებული [illegible] მოწაფე [illegible], განსაკუთრებით მაღარია ტეხნიკაში. შეასრულა: პრელიუდია და ფუგა—ბახის, მოცარტის—Pastorale vârie, ბეთჰოვენის—სონატა appasionata, შუმანის—სიმფონიური ეტიუდები, შოპენის—alcegro de concert და ლისტის—ტყის მეფე. დ) დიდი ნიჭი გამოიჩინა აისბერგის მოწაფემ რეიმანმა, რომელიც დაჯილდოვებულია განსაკუთრებული მხატვრული გაგებით, მუსიკალობით, ტეხნიკით და [illegible].

პ. ბეზუთოვი.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დეკრეტი № 5.

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი—ერთიანი ნატურალური გადასახადის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სასურსათო ხარჯების ნაწილის დაფარვის მიზნით, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ნაცვლად 1921—1922 წელს არსებულ ნატურალურ გადასახადებისა პურის პროდუქტებზე, კარტოფილზე, ბოსტნეულზე, ხილზე, ღვინოზე, ხორცზე, მატყლზე და მერძეობის პროდუქტებზე, 1922—1923 სასოფლო-სამეურნეო წლის შემოღებულ იქნეს ერთიანი ნატურალური გადასახადი სასოფლო მეურნეობის პროდუქტებზე.

2. ნატურალური გადასახადი გამოიანგარიშება და გამოიხატება ერთიან წონის რაოდენობად—ფუთ ხორბალში.

**შენიშვნა:** გადამხდელთ უფლება ეძლევათ გადასახადი გაისტუმრონ სასოფლო მეურნეობის სხვა პროდუქტებითაც, აგრეთვე შესცვალონ გადასახადი ფულადის ეკვივალენტით ან ხმად სასურსათო სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულ ინსტრუქციისა.

3. ნატურალური გადასახადის საერთო ჯამი განისაზღვროს ცხრაას ათასი ფუთი ხორბლეულის ერთეულების რაოდენობით.

4. მე 3 მუხლში აღნიშნული ნატურალური გადასახადის ჯამს სასურსათო სახალხო კომისარიატი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ცენტრალურ სასტატისტიკო სამართველოსთან ერთად, მაზრებზე გაანაწილებს ამა თუ იმ მაზრის მოსავლიანობისა და გადახდის შემძლეობის მიხედვით.

5. სასურსათო გადასახადის კამპანიის გასაძღოლად, მოეწყოს სამაზრო საგადასახადო სამეულები, სადაც სავალდებულო მონაწილეობას მიიღებენ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, სამაზრო სასურსათო კომისარი და მესამე წევრი, რომელსაც დანიშნავს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი.

**შენიშვნა 1-ლი:** თვითეულ მაზრისათვის დასაკისრებელი ნატურალური გადასახადის გამორკვევის შემდეგ—სამაზრო საგადასახადო სამეული, მაზრის ყველა თემის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობით, გამოიანგარიშებს თემებზე გასაწერ გადასახადის რაოდენობას; ამასთანავე მაზრისათვის განსაზღვრული ჯამი უცვლელი რჩება.

**შენიშვნა მე-2-ე:** კოლექტიური და საკოოპერაციო მეურნეობა, აგრეთვე სახელმწიფო მამულების მოიჯარადრეთა მეურნეობა ექვემდებარება ნატურალურ გადასახადს, რომლის რაოდენობასაც აწესებს სამაზრო საგადასახადო სამეული იმის მიხედვით, უკეთუ ეს მეურნეობა სოფელთა შედგენილებაში არ შედის, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის შესაწერი სასურსათო გადასახადის რაოდენობა უნდა განისაზღვროს მე 6 მუხლის თანახმად.

6. თემზე შეწერილი გადასახადს სოფლებზე ანაწილებს სათემო საბჭოს პლენუმი, ხოლო გადამხდელთა შორის განაწილებას აწარმოებს თემის აღმასრულებელი კომიტეტი მოსახლეობის წარმომადგენელთა მონაწილეობით. როგორც სოფელზე, ისე გადამხდელებზე შეწერის რაოდენობას ამტკიცებს სამაზრო სამეული.

7. თემებზე და სოფლებზე სასურსათო გადასახადის დაწესებისა და აგრეთვე გადამხდელთა შორის მისი განაწილებისათვის საფუძვლად მიღებულ უნდა იქნეს მთელი აღწერილობითი—სასტატისტიკო მასალა და წარშანდელი სასურსათო საგადასახადო კამპანიის ცნობები.

8. სახალხო სასურსათო კომისარიატი, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატსა და ცენტრალურ სასტატისტიკო სამართველოსთან ერთად, ივლისის 1 სათვის განსაზღვრავს ეკვივალენტს, რომლითაც შეიძლება შეიცვალოს ერთი ხორბალი სხვა პროდუქტებად და კულტურად რესპუბლიკის მაზრებსა და რაიონებში, ადგილობრივ სამეულთაგან წარმოდგენილ ამა შეცვლის პროექტების მიხედვით, საჭიროა თუ არა სახელმწიფოსათვის ესა თუ ის პროდუქტი, რა სამეურნეო ღირებულებისაა იგი და რა თვისებურება აქვს თვითეულ რაიონს.

9. ღარიბებს გლეხების მეურნეობას, აგრეთვე კომუნალურ საბჭოთა მეურნეობას გადასახადი არ უნდა შეეწეროს.

**შენიშვნა:** სამაზრო სამეულებს ეძლევათ, თემებზე და სოფლებზე გადასახადის განაწევთის გაწერამდე, წინასწარ განსაზღვრონ ტიპი იმ მეურნეობისა, რომელსაც გადასახადი არ უნდა შეეწეროს.

10. წითელ არმიელის და მის მიერ სარჩენ ოჯახის მეურნეობას შეიძლება შეეწეროს მხოლოდ ნახევარი სასურსათო გადასახადის იმ რაოდენობისა, რაც შეეწერება სხვა მისი თანაბარი შემძლეობის მეურნეობას.

11. გადამხდელნი მოვალენი არიან შეუდგნენ გადასახადის ჩაბარებას მოსავლის დაბინავებისთანავე. ჩაბარების ვადას აწესებს სამაზრო სამეულები, სახალხო სასურსათო კომისარიატთან შეთანხმებით, ადგილობრივი პირობების მიხედვით; ამასთანავე უკანასკნელი ვადა ნატურალური გადასახადის ჩაბარებისა უნდა იყოს: აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებისთვის—არა უგვიანეს სექტემბრის 15, ხოლო დასავლეთ საქართველოსათვის—არა უგვიანეს იანვრის 1.

12. პასუხისმგებლობა გადამხდელებზე ნატურალური გადასახადის სწორე გაწერისა და ამ გადასახადის დროზე ჩაბარებისათვის დაეკისრება სამაზრო სამეულებს და თემის აღმასრულებელ კომიტეტებს.

13. გადამხდელნი მოვალენი არიან მათზე შეწერილი ნატურალური გადასახადი საკუთარი საშუალებით მიიტანონ დაწესებულ მისაღებ პუნქტებში.

14. მოქალაქენი, რომელნიც გადასახადს არ გაისტუმრებენ, პასუხს აგებენ პირადად და ქონებრივად სასამართლოს ან ადმინისტრატიული წესით.

15. ამ დეკრეტის აღსრულება დაევალება სასურსათო სახალხო კომისარიატს, რომელსაც უფლება ეძლევა გამოსცეს საჭირო დადგენილებანი და ინსტრუქციები.

16. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ქავთარაძე.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. ივნისის 20.

ტფილისი—სასახლე.

**დავკარგე** პროფესიონალური კავშირის საწევრო წიგნაკი, ჟურნალისტების ცენტრ. 6 მიღებული, № 3488; პარტიული მანდატი, მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის მთავარი კომიტეტის მიერ მიცემული, № 156; პირადობის მოწმობა, მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ფილოსოფიურ დარგიდან, № 250 და მანდატი, მიღებული „ტრიბუნა"-ს რედაქციიდან, № 79. აღნიშნულ დოკუმენტებს ვაცხადებ გაუქმებულად.

გრიგოლ ანდრიას-ძე ხოფერია.

[illegible]—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი